<u>მივლინების ანგარიში</u>

მივლინებული: ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით:

1. თამარ ჩუგოშვილი, დელეგაციის ხელმძღვანელი;
2. სოფიო ქაცარავა;
3. ირინე ფრუიძე;
4. დავით ბაქრაძე;
5. ეკა ბესელია;
6. ნინო გოგუაძე;
7. დიმიტრი ცქიტიშვილი;
8. გიორგი კანდელაკი;
9. ლანა ჩხარტიშვილი, დელეგაციის მდივანი;
10. ალექსანდრე რამიშვილი, დელეგაციის მდივანი.

მივლინების მიზანი: ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2017 წლის ზაფხულის სესიის მუშაობაში მონაწილეობის მიღება.
მივლინების ადგილი: ქალაქი სტრასბურგი, საფრანგეთი.
მივლინების თარიღი: 2017 წლის 26-30 ივნისი.

სესიის დღის წესრიგში შეტანილი საკითხებიდან მნიშვნელოვანი იყო მიგრანტთა ინტეგრაცია და ჰუმანიტარული კრიზისი, ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ, ასამბლეის წინაშე ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის საკითხი, კორუფციასთან ბრძოლა და თავისუფალ მედიაზე პოლიტიკური გავლენის ტენდენციები. ასამბლეაზე მოხსენებებით გამოვიდნენ ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი, თორბიორნ იაგლანდი; ათენის მერი - გიორგოს კამინისი; ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი - ნილს მუჟნიეკსი და შვედეთის სამეფოს იუსტიციისა და მიგრაციის მინისტრი - მორგან იოჰანსონი. სესიაზე სიტყვით გამოვიდნენ მოწვეული სტუმრები, მოლდოვასა და მონტენეგროს პრემიერ მინისტრები და ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი.

ორშაბათს, 26 ივნისს, სესიაზე დამტკიცებულ იქნა ასამბლეის ზოგიერთი წევრის უფლებამოსილება და მოხდა ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტის არჩევა სომხეთის და მოლდოვას რესპუბლიკის დელეგაციებიდან. ორშაბათს საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს პოლიტიკური ჯგუფების და კომიტეტების მუშაობაში.

ამავე დღეს, თამარ ჩუგოშვილი, სოფიო ქაცარავა, ეკა ბესელია და ირინე ფრუიძე ვენეციის კომისიის მდივანს, **თომას მარკერტს** შეხვდნენ. დეპუტატებმა ვენეციის კომისიის მდივანს

დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს იმის თაობაზე, თუ როგორ მიმდინარეობდა საკონსტიტუციო ცვლილებების კანონპროექტზე ორი მოსმენით განხილვა პარლამენტში. შეხვედრაზე აღინიშნა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია რეფორმის პროცესში პოლიტიკურ ძალებს შორის კონსენსუსის მიღწევა.

25 ივნისს გამართულ სხდომაზე, **იურიდიული საკითხებისა და ადამიანის უფლებების კომიტეტის წევრებმა მხარი დაუჭირეს** საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების მონიტორინგის განხორციელების თაობაზე **რეზოლუციის შექმნას.** საქართველოს დელეგაციამ, რეზოლუციაზე შუამდგომლობა სათაურით „ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში", ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიაზე დაარეგისტრირა. იურიდიული კომიტეტის რჩევის საფუძველზე, ასამბლეის ბიურო, ანგარიშის მოსამზადებლად მიმართავს შესაბამის კომიტეტს, რომელიც თავის მხრივ ერთ-ერთ წევრს დაავალებს ანგარიშის მომზადებს.

ოთხშაბათს, 28 ივნისს, **თამარ ჩუგოშვილი**, დელეგაციის წევრებთან ეკა ბესელიასა და სოფიო ქაცარავასთან ერთად, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის გენერალურ მდივანს, ვოიცეხ სავიცკის შეხვდა, სადაც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან წარდგენილი მოსამართლეობის კანდიდატების განხილვის პროცედურებზე და მონიტორინგის ეტაპიდან საქართველოს პოსტმონიტორინგის ეტაპზე გადასვლის საკითხებზე ისაუბრეს.

მონიტორინგის კომიტეტის სხდომაზე, ოთხშაბათს, საქართველოს საკითხზე ახალი მომხსენებელი დაინიშნა. რუმინეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა, **ტიტუს კორლატეანმა** ლატვიელი დეპუტატი, ბორის სილევიჩი ჩაანაცვლა.

ხუთშაბათს, 29 ივნისს, დელეგაციის წევრი, **ეკა ბესელია** ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების თემაზე მომზადებულ ანგარიშზე გამართულ დებატებზე სიტყვით გამოვიდა და აღნიშნა, რომ საქართველოს, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების და განჩინებების აღსრულების ზედამხედველობის ერთ ერთი საუკეთესო სტანდარტი აქვს. მან გადაწყვეტილებათა აღსრულების მიმართულებით საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე და განხორციელებულ ცვლილებებზე ისაუბრა. დეპუტატის შეფასებით ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებებმა განაპირობა ისეთი რეფორმების გატარება საქართველოში, რაც უზრუნველყოფს სისხლის და სამოქალაქო საქმეებზე პროცედურულ გარანტიებს; გაუმჯობესდა პენიტენციალური ჯანდაცვის სისტემა, გარანტირებულია გამოხატვის თავისუფლება და დადგა სხვა მრავალი პოზიტიური შედეგი.

გიორგი კანდელაკმა აღნიშნულ თემაზე სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ 18-ე მუხლის დარღვევა დააფიქსირა ვანო მერაბიშვილის საქმეზე. დეპუტატმა განმარტა, რომ ამ მუხლის მიხედვით საქართველოს ხელისუფლებამ აღკვეთის ღონისძიება პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენა.

თამარ ჩუგოშვილმა კანდელაკის საპასუხოდ დელეგატებს განუმარტა, რომ ბატონი მერაბიშვილის ამჟამინდელი პატიმრობა სწორედაც რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმეზე „ენუქიძე/გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს, რომლის მთავარი მოთხოვნა იყო საქართველოს გამოეძიებინა და დამნაშავეები პასუხისგებაში მიეცა იმ დანაშაულისათვის, რომელსაც ახალგაზრდა ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. რაც შეეხება ვანო მერაბიშვილის საქმეს, დასძინა დელეგაციის ხელმძღვანელმა, საქართველო უპირობოდ დაემორჩილება და აღასრულებს დიდი პალატის მიერ გამოტანილ ნებისმიერ გადაწყვეტილებას.

მოგვიანებით, ნინო გოგუაძემ, თავისი შეფასება გააკეთა ანგარიშზე „პოლიტიკური გავლენა დამოუკიდებელ მედიასა და ჟურნალისტებზე“. მან ასამბლეის წევრებს ინფორმაცია მიაწოდა საქართველოში მედიის მიმდინარე საკითხებზე. მან აღნიშნა, რომ საქართველომ გააუქმა მაუწყებლობის ლიცენზირების ვალდებულება და დღეს მოქმედი კანონმდებლობით, ნებისმიერ მსურველს შეუძლია მაუწყებლობა დაიწყოს სულ რაღაც 10 დღეში. ამან გამოიწვია სამაუწყებლო კომპანიების ზრდა და შედეგად, დღეს 49 არხი ფუნქციონირებს. ახალი ამბების და პოლიტიკური პროგრამების არხები 3-დან 17-მდე გაიზარდა. რეგიონებში კი 24 სამაუწყებლო არხი მაუწყებლობს - დასძინა დეპუტატმა. ნინო გოგუაძემ ასევე აღნიშნა საქართველოს საერთაშორისო პოზიტიური რანგირება საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2017 წლის რიგით მეოთხე, საშემოდგომო სესია გაიმართება 9-13 ოქტომბერს, ქალაქ სტრასბურგში.

ალექსანდრე რამიშვილი

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში
საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი
დელეგაციის მდივანი